



250/4-2/22
17-01-2022

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს,
ბატონ ზურაბ აზარაშვილს

ბატონო ზურაბ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, მიმდინარე წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი და 44-ე მუხლის პირველი პუნქტი. აღნიშნული ნორმების თანახმად, 1 იანვრიდან სოციალური მუშაკი შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, რომელსაც აქვს სოციალური მუშაობის სფეროში ბაკალავრის, მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებული ან დოქტორის აკადემიური ხარისხი ან „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სოციალური მუშაკის სერტიფიკატი. ამავდროულად, კანონის 65-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მიმდინარე წლის 1 იანვრიდან მოქმედება შეწყვიტა კანონის 44-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებმა, რომლებიც წარმოადგენდა სოციალურ მუშაკთა სერტიფიცირების პროცესის სამართლებრივ საფუძველს.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. შევსებულია თუ არა თქვენს უწყებაში ყველა ის ერთეული, რომელზეც გათვალისწინებულია სოციალური მუშაკის დასაქმება? ვაკანტური თანამდებობების რაოდენობის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიგვითითოთ რამდენია ვაკანტური თანამდებობა?
2. 2022 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ზემოაღნიშნული ნორმების მხედველობაში მიღებით, როგორია თქვენი ხედვა სამომავლოდ სოციალური მუშაკის ვაკანტური თანამდებობების შევსების შესაძლებლობების კუთხით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე

მ. სარჯველაძე



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories,
Labour, Health and Social Affairs of Georgia



KA030130102348722

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/5845

24 / თებერვალი / 2022 წ.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო
ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს
ბატონ მიხეილ სარჯველაძეს

ბატონო მიხეილ,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განიხილა თქვენი № 250/4-2/22 წერილი, რომელიც ეხება დასაქმებული სოციალური მუშაკების რაოდენობისა და ვაკანტური ადგილების შესახებ ინფორმაციის მიწოდების საკითხს. სსიპ-სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიერ მოწოდებულ კორესპოდენციაზე დაყრდნობით გაცნობებთ, რომ სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში სოციალური მუშაკის ვაკანტური თანამდებობის რაოდენობა შეადგენს 43 (ორმოცდასამი) ერთეულს, აქედან, თბილისში - 16 (თექვსმეტი) ერთეულს, ხოლო რეგიონებში - 27 (ოცდაშვიდი) ერთეულს. დანართის სახით გიგზავნით სსიპ-სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოდან შემოსულ კორესპოდენციას.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამგზავს/მულია
ელექტრონულად



თამილა ბარკალაია



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED FROM THE OCCUPIED TERRITORIES, LABOUR, HEALTH
AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა
დახმარების სააგენტო
LEPL AGENCY FOR STATE CARE AND ASSISTANCE FOR THE (STATUTORY) VICTIMS OF
HUMAN TRAFFICKING



KA030841884185422

საქართველო, თბილისი 0177, მ.თამარაშვილის ქ. N15ა; ტელ/ფაქსი: (+995 32) 239 53 50
15a M.Tamarashvili st. Tbilisi 0177, Georgia; Tel/Fax (+995 32) 239 53 50
www.atipfund.gov.ge

№ 07/1341

22 / თებერვალი / 2022 წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტს

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების
სააგენტოში შემოსულ საქართველოს პარლამენტის წევრის, მიხეილ სარჯველაძის წერილებთან
(რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: N2480 17.01.2022წ; N3259 24.01.2022წ) დაკავშირებით, რომლებიც
ეხებოდა სოციალური მუშაკების ვაკანტური თანამდებობებისა და ამ ვაკანსიების შევსების
შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციას, გაცნობებთ, რომ დღევანდელი მდგომარეობით, სააგენტოს
ტერიტორიულ ერთეულებში სოციალური მუშაკის ვაკანტური თანამდებობის რაოდენობა შეადგენს 43
(ორმოცდასამი) ერთეულს, აქედან, თბილისში - 16 (თექვსმეტი) ერთეული, ხოლო რეგიონებში - 27
(ოცდაშვიდი) ერთეული (დანართის სახით, გიგზავნით ვაკანტური თანამდებობების ჩამონათვალს,
რაიონების მიხედვით).

რაც შეეხება ვაკანტური თანამდებობების შევსების საკითხს, გაცნობებთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ
2020 წლიდან გაიზარდა სოციალურ მუშაკთა შრომის ანაზღაურება და ამასთან, მუდმივად ცხადდება
კონკურსი სოციალური მუშაკის ვაკანტურ თანამდებობაზე, ვაკანტური ადგილის შევსება ვერ ხდება,
განსაკუთრებით, აღნიშნული პრობლემა თავს იჩენს რეგიონულ და რაიონულ წარმომადგენლობებში,
თუმცა, თბილისშიც გვაქვს მწვავე საკადრო პრობლემები, მაღალია კადრების გადინებაც. მიმდინარე
წელს, მოგესვენებათ, სააგენტოში დასაქმებული სოციალური მუშაკების ანაზღაურება კვლავ
გაიზარდა, ამჟამად ცხადდება კონკურსი, თუმცა ჩვენთვის წინასწარ არ არის ცნობილი თუ რა
გავლენას იქონიებს აღნიშნული საჭირო რაოდენობის კადრების შერჩევის თვალსაზრისით.

იმ შემთხვევაში, თუ მიღებული იქნება სერტიფიცირების პროცესის გაგრძელების გადაწყვეტილება,
მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას გადამზადების კურსების მაღალი ხარისხით
უზრუნველყოფის აუცილებლობა და გასული წლების გამოცდილება ამ მიმართულებით, როდესაც
გადამზადება მიმდინარეობდა ე.წ TEMPUS/TACIS პროგრამის მიხედვით. ასევე მიზანშეწონილად
მიგვაჩნია გადამზადების კურსები მოიცავდეს მინიმუმ 60 კრედიტს, რომელიც დაფარავს ყველა იმ
მიმართულებას, რაც მნიშვნელოვანია სოციალურ სამუშაოში სერტიფიკატის მიღების მსურველი
კანდიდატებისთვის სათანადო და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის მიზნით.

დანართი. ერთი ფაილი

პატივისცემით,

დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამგდამსმულია
ელექტრონულად



მერი მაღლაფერიძე

№	ტერიტორიული ერთეულები
	ქ. თბილისი საქალაქო ცენტრი
	სააგენტოს იმერეთის რეგიონული ცენტრი (ქუთაისი)
	ზესტაფონის რაიონული წარმომადგენლობა
	ჭიათურის რაიონული წარმომადგენლობა
	ტყიბულის რაიონული წარმომადგენლობა
	სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული ცენტრის ლენტეხის რაიონული წარმომადგენლობა
	სააგენტოს სამეგრელო_ზემო სვანეთის რეგიონული ცენტრი (ზუგდიდი)
	სააგენტოს კახეთის რეგიონული ცენტრი
	გურჯაანის რაიონული წარმომადგენლობა
	სიღნაღის რაიონული წარმომადგენლობა
	სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ცენტრი (ახალციხე)
	ნინოწმინდის რაიონული წარმომადგენლობა
	სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ცენტრი
	სააგენტოს ქვემო ქართლის რეგიონული ცენტრი (რუსთავი)
	სააგენტოს აჭარის ა/რ ცენტრი (ბათუმი)

სოციალური მუშაკის ვაკანტური თანამდებობის რაოდენობა	16
1	
1	
2	
1	
1	
5	
1	
1	
1	
1	
1	
2	
9	